

საკერავი მანქანების ოპერატორი 040961
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

საკერავი მანქანების ოპერატორი ინჟინერიის მიმართულების, სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დარგის კვალიფიკაციაა. საკერავი მანქანების ოპერატორის საქმიანობა მიეკუთვნება ადამიანის მოღვაწეობის იმ სფეროს, რომელიც გამოიყენება მსუბუქი მრეწველობის და სერვისის საწარმოებში, სადაც არის თანამედროვე მაღალტექნოლოგიური და მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიური მოწყობილობები, რომლებიც მოითხოვენ საკერავი მანქანების ოპერატორის მომსახურებას. საკერავი მანქანების ოპერატორი აგრეთვე უზრუნველყოფს ნაწარმის კერვისას სხვადასხვა სირთულის ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებას სპეციფიკური ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით.

II. დასაქმების სფერო

საკერავი მანქანების ოპერატორის დასაქმების სფეროს წარმოადგენს მსუბუქი მრეწველობის სამკერვალო საწარმოები, მოდისა და ღიზინის კომპანიები, მცირე და კერძო ბიზნესის სამკერვალო საწარმოები და ყველა ის სფერო, სადაც ხდება სამკერვალო ნაკეთობათა გამოშვება.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

საკერავი მანქანების ოპერატორის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი (III). საფეხურისთვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

საკერავი მანქანების ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 30 კრედიტს. აქედან, კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საკერავი მანქანების ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი

V. საკერავი მანქანების ოპერატორის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

საკერავი მანქანების ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • საამქროს უსაფრთხოების ზოგადი წესები; • უნივერსალური და სპეციალური დანიშნულების საკერავი მანქანების მუშაობის პრინციპები; • საკერავი მანქანის მომზადება ტექნოლოგიური პროცესის შესასრულებლად; • საკერავ მანქანებზე გვირისტულების შესასრულებლად ძაფის აგების საფუძვლები და ძირითადი მუშა ორგანოების მუშაობის პრინციპები; • გვირისტულების ჩამოყალიბების ძირითადი მომენტები და გვირისტის ფორმირების პროცესი; • ნაკერებისა და გვირისტულების ექვსი ძირითადი კლასის ASTMD 6193 სტანდარტული მაჩვენებლები და ქსოვილის ტექნიკური მახასიათებლები; • საკერავი მანქანის ასორტიმენტი; • ნემსების სახეები, მათი ნომრების შერჩევა და გამოყენება ქსოვილის სისქის მიხედვით; • საკერავი მანქანების კლასიფიკაციის გამოყენება; • „Juki“-ის მანქანების კლასიფიკაციის ციფრებით კოდირების სისტემის გამოყენება; • სამკერვალო ნაწარმის ასორტიმენტი; • კერვის პროცესში ნორმირებული დროის დაცვა. <p>აცნობიერებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკერავი მანქანის ოპერატორის პროფესიული საქმიანობის მიზნებსა და ამოცანებს; • შრომის უსაფრთხოების წესებს და გარემოს დაცვის პრინციპებს. • ნაწარმის მასალაში შესრულებისათვის საჭირო ტექნიკურ ამოცანებს მათი ფუნქციის, ასორტიმენტის, კლასიფიკაციის და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. <p>იცნობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტანსაცმლის ასორტიმენტის კონსტრუქციას, მასალების გავლენას
-------------------------------------	---	---

		<p>ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესზე, ტანსაცმლის ნაწილების შესაერთებლად საჭირო ხერხებსა და საშუალებებს, აქვს ცოდნა ძირითადი და დამხმარე მასალების შესახებ;</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანის ფიგურის ზომით მახასიათებლებს; • ფიგურის ზომებიდან ტანსაცმელზე გადასვლის პრინციპებს; • სავარჯიშოებს კერვის ოპტიმალური მეთოდების გამოყენების შესახებ; • სამმაფიანი და ხუთმაფიანი Juki MO სერიის და Juki SC-920 მანქანების აგებულებას და მასზე მუშაობის უსაფრთხოების წესებს; • Juki MO სერიის მანქანების შეზეთვის სისტემებს; • საკერავი მანქანების სპეციფიკაციას და მისი გამოყენების შესაძლებლობებს სხვადასხვა სისქის ქსოვილების კერვისას.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი. შეაფასოს დავალების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები, შეარჩიოს და მიუსაგადოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ორმაფიანი, სამმაფიანი და ხუთმაფიანი მანქანების ძაფით გაწყობა; • MO 6704S, 6716S, SC720 მანქანებში ძაფის დაჭიმულობის რეგულირება, ნემსების შერჩევა და დამაგრება მანქანაზე; • კერვის პროცესში დანის მექანიზმის სწორად გამოყენება; • კერვის პროცესში წუნის აღმოჩენა და სწრაფი რეაგირება; • ტანსაცმლის კონსტრუქციის დადგენა და მათი თანმიმდევრულად შეერთება; • ნაწარმისათვის ცალკეული კვანძების დამზადება და აწყობა; • ერთიანი საწარმოო პროცესის კონკრეტულ მონაკვეთზე ტექნოლოგიური ციკლის დამოუკიდებლად წარმართვა; • საკერავ მანქანებზე სტანდარტული გვირისტულების პრაქტიკულად განხორციელება; • შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება; • საკუთარი პროფესიული საქმიანობის მართვა.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის სანდო წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკერავი მანქანის ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად წარმოქმნილი პრობლემების მიზეზების დადგენა და მათი გამოსწორების გზებისა და საშუალებების დასახვა; • შესაბამისი სამუშაოების წარმატებით შესასრულებლად კომპეტენტური წყაროების გამოყენება და მიღებული ინფორმაციის ანალიზი; • გადაწყვეტილების მიღებისას ეფექტურად და ოპერატიულად მოქმედება და შესაბამისი რეაგირება; • შედეგების მიხედვით შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში საჭირო ინფორმაციის გაგება, გააზრება, მოძიება, მსჯელობა, გაცვლა; • წარმოქმნილი პრობლემის შესახებ თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის დეტალური და ამომწურავი მიწოდება; • უცხოურ ენაზე დიალოგის წარმართვა პროფესიულ საკითხებზე; • სფეროში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ სხვადასხვა წყაროებიდან ახალი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება.
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული უახლესი საკერავი მანქანების აგებულების, მისი გამოყენების ხერხების, ტექნიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება მიღებულ ცოდნასა და კვალიფიკაციაზე დაყრდნობით; • ბაზრის მოთხოვნისა და პირადი ინტერესების გათვალისწინებით საკუთარი სწავლის დაგეგმვა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის განსაზღვრა.
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<ul style="list-style-type: none"> • პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ მოვალეობებს. • არის ორგანიზებული, მოწესრიგებული, პუნქტუალური, კეთილგანწყობილი კოლეგების მიმართ; იცავს ეთიკურ ნორმებს; • კრიტიკულ სიტუაციაში არის მომთმენი, არ კარგავს მობილიზაციის უნარს და შეუძლია ადეკვატურად მოქმედება. • იცავს შრომის უსაფრთხოების წესებსა და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.